# სახალხო გაზეთი

№ 376 შაბათი, 13 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 376

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, ბაზაროვის ქუჩაზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირსის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## ქ. ქუთაისში

„სორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხელდრა ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ტელეფ. 795. **ახალი კლუბი** ტელეფ. 795.

(თ. აზნაურობის საზაფხულო ბაღი და თეატრი).

შაბათს, 13 აგვისტოს, 1911 წ.

## ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

წარმოდგენილ იქნება ქართულად:

„რასა ვეძებდი და რა ვპოვე",

კომ. 3 მოქ., კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.

წარმოდგენის შემდეგ ლ ო ტ ო. დასაწყ. საღ. 9 ს.

სტუმრ. გადაიხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. ადგ. ფასი თეატრში 10—50 კ. ბაღში უკრავს ორკესტრი და საზანდარი გამოჩენილ მეთარის არსენას მეთაურობით. ანონსი: შემდეგი საოჯახო საღამო სამშაბათს, 16 აგვისტოს, ი. ზ. სარაჯიშვილის მონაწილეობით. კვირას, 14 აგვისტოს, სინემატოგრაფი. ოთხშაბათობით და პარასკეობით იაფი ლოტო. (1.1434.1)

## გამოვიდა და იყიდება ნ. შიუკაშვილის

4 მოქმედ. დრამა

## „მეგობრობა".

ფასი ექვსი შაური.

(ავტორის სურათით). (10—10)

გამოვიდა და იყიდება

## ა. ჯორჯაძის თხზ. მე-2 წ.

„ჩვენი საზოგადოებრივობა"

ფასი ოთხი აბაზი (ავტორის სურათით და წინასიტყვაობით).

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის თხზ. 1-ლი წ.

„ეროვნულ პრობლემის გარშემო"

ფასი 75 კაპ. (10—10)

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—114)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც. ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ბედიზანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., ურთიერთ წასულია.

მზარეულოვი მ. ა.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სოხოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. ურთიერთ წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. ურთიერთ წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურია. (წ.—1089—535)

## გორის 6-კლასიანი საქალო პროგიმნაზია

ამით აცხადებს, რომ ეგზამენები 25 აგვისტოდან დაიწყება. თავისუფალი ვაკანსიები, მეექვსე კლასიანად, ყველა კლასებშია. (5—761—4)

ამ წლის 14 აგვისტოდან გამოვა ქ. ქუთაისში

ყოველ-დღიური სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო

ქართული გაზეთი

## „მ ნ ა თ ო ბ ი".

გაზეთის ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ. 3 თვით ქუთაისში 2 მ. 20 კ. 3 თვით ქუთაისს გარეთ 2 მ. 50 კ. თვიურად ქუთაისში 80 კ., ქუთ. გარეთ 90 კ. თითო ნომერი ყველგან ერთ შაურად. საზღვარ-გარეთ წლიურად 14 მ. განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი რაჟდენ ვაჩნაძე.

რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Балахванская ул., д. N 12. (10—1440—3)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაზაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. სოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** (წ.—1090—133)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბაშვილისა.

**ექიმი** კბილისა ახალთუმანში **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერ-მარქაროვისა. (თ.—1333—49)

**ექიმი მ. ნ. მაგაკიანი** დაბრუნდა უცხოეთიდან. შინაგანი და ბავშვთა ავადმყ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. 36, ტელეფონი 388. 25—1442—3

## სურამში

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ ლომსაძის აგარაკი.

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—83)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—24)

**ექიმი ი. ვაჩნაძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. ი—114

**ექიმი გ. მ. ღოღობერიძე** შინაგანი და ქალთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე. კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—9)

**ექიმი მ. ი. ჩხენკელი** ქუთაისში შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—44)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

სუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვიშხოვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ითხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—82)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

„ს.-პეტ. ვედ." კორესპონდენტი ბევრს საყურადღებო ცნობებს იძლევა თეირანიდან იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობს რუსეთი სპარსეთის უკანასკნელ ამბებში, ან როგორ უცქერიან მას თვით სპარსელები. კორესპონდენტის სიტყვით, თვითოეული სპარსელი, დაწყებული უმაღლეს წრეებიდან უკანასკნელ ქვის მთლელამდე, უნდობლობას უცხადებს რუსეთსა. სხვის დაუხმარებლად მაჰმად-ალი საქმეს წააგებდაო, ამბობენ თურმე სპარსეთში. დასამტკიცებლად იმისა, რომ მაჰმად-ალის „სხვები" ეხმარებიან, კორესპონდენტს შემდეგი ცნობები მოჰყავს.

„რუსეთი თავის აგენტების შემწეობით,—სწერს კორესპონდენტი,—არდებილსა, რეშტსა და ისპაჰანში ავრცელებს ხმებს, რომ სპარსეთის მთავრობა ყოვლად უძლურია და მაჰმად-ალსაც ბევრნაირი საშუალება აქვს მიზნის მისაღწევადაო. ამრიგად რუსეთი მაჰმად-ალის მორალურ დახმარებას უწევს. რეშტში ელჩმა გუბერნატორს ოფიციალური წერილი გაუგზავნა და შეატყობინა, რუსეთის იმ ქვეშევრდომთ, რომელნიც პარტიათა შორის გამართულ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ, დაუყოვნებლივ, სპარსეთის მთავრობის დაუკითხავად, დავატუსაღებო. ელჩმა თავისი მუქარა კიდეც შეასრულა, რამდენიმე კაცი დაატუსაღა და რუსეთში გაჰგზავნა, არდებილში კი პირდაპირ ცხადს აგიტაციას ეწევიან ელჩის აგენტები მაჰმად-ალის სასარგებლოდ. თეირანში ელჩმა ძალით გაანთავისუფლა რაშიდულ-მულქი, რომელსაც სახელმწიფოს ღალატი ჰბრალდებოდა და 300 რუს-მეომრის თანხლებით გუბერნატორის სახლიდან საელჩოში გადაიყვანა".

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკის მოადგილე გენერალი ნ. პ. შატილოვი** 12 აგვისტოს ყარსის ოლქს გაემგზავრა.

✦ **ქალაქის სალახანის გამგე ბეიდმანი ლანგე**, რომელიც სამეცნიერო მიზნით საზღვარ-გარედ იყო გაგზავნილი, გუშინ ტფილისს ჩამოვიდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ 15 ივლისიდან 1 აგვისტომდე ქალაქს შემოსვლია დარჩენილი გადასახადი 19961 მან. და 33 კაპ. და ცხენების გადასახადი 83 მან. 12 კ. დარჩენილა: შესაფასებელი გადასახადი—5952 მან. 63 კ. და ცხენების—267 მ. 87 კ.

✦ **ტფ. საგუბერნიო ინჟინერი კ. ე. ანტონოვი** ტფილისს დაბრუნდა.

✦ **პოეტი აკაკი** 11 აგვისტოს კახეთიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ახალ კლუბში.** 11 აგვისტოს საბავშვო საღამო გაიმართა, რომელმაც მეტად კარგად ჩაიარა. ნაშუადღევის 6 საათიდან კლუბის ბაღში დიდძალმა ბავშვობამ მოიყარა თავი და დრო მხიარულად გაატარა სხვა და სხვა საბავშვო სათამაშოებში. დასასრულ ბავშვებს სინომატოგრაფი უჩვენეს.

✦ **ექსკურსია ქვათახევის მონასტერში.** კვირას, 14 აგვისტოს, ლ. ბოცვაძის მეთაურობით ექსკურსია გაემგზავრება ქვათახევის მონასტერში. ექსკურსია გავა ტფილისიდან სამი საათის მატარებლით. მატარებლიდან გადმოვლენ სად. ქსანკასა და კასპს შორის მდებარე 250 ვერსის „რაზიეზდზე". ექსკურსიაში მონაწილენი სადგურზე კვირას, 2 საათზე უნდა შეიკრიბნენ. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ლ. ბოცვაძეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

✦ **ვიქტორ ქავთარაძე**, რომელიც 3 აგვისტოს დააპატიმრეს, უკვე გაანთავისუფლეს.

✦ **ქალაქის გამგეობასთან არსებულ სანიტარო-სასანიტარო ბიუროს** ცნობებით, ქალაქის არამიანცის სახელობის საავადმყოფოში 1 აგვისტომდე ყოფილა 82 ავადმყოფი, ათი დღის განმავლობაში მიმატებია 59, დარჩენილა 32, გარდაცვლილა 5, 11 აგვისტომდე დარჩა 104. ქალაქის ბარაკებში: ქუნთრუშით ავად იყო—3, გაეწერა—1, დარჩა—2; ხუნაგით იყო—6, ჩაეწერა—5, გაეწერა—4, გარდაიცვალა 2, დარჩა 5; სოფლით იყო—1, მიემატა—1; ყვავილით იყო—2, დარჩა 2.

ალექსანდრეს კანისა და ვენერიულ ავადმყოფების საავადმყოფოში: იყო 20 კაცი და 31 ქალი, ჩაეწერა 17 კაცი და 6 ქალი, გაეწერა 16 კაცი და 19 ქალი, გარდაიცვალა 1 ქალი; დარჩა 31 კაცი და 17 ქალი.

ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში იყო 29 კაცი და 21 ქალი. 10 დღის განმავლობაში ავად არავინ გამხდარა.

✦ **„ნაკადული".** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" მე-15 ნომერი (მცირე წლოვანთათვის). ჟურნალს თან მოჰყვა კოხტად და სუფთად გამოცემული წიგნი „ნაკადულის საჩუქარი". წიგნს სურათები აქვს დართული და შეიცავს ანდერსენისა, ტომპსონისა ანსაანისა და კიპლინგის საბავშვო მოთხრობებს.

✦ **ფქვილის ნამდვილ ფასის** თაობაზე ქალაქის გამგეობის წევრი ნ. ი. არღუთინსკი სხვა და სხვა

✦ ტფილისის გუბერნიის ქალაქების საქმეთა საკრებულომ დაამტკიცა ტფილისის საბჭოს დადგენილება, რომ გლეხთა განთავისუფლების 50 წლის აღსანიშნავად რიყის ქუჩას „19 თებერვლის" ქუჩა დაერქვას.

### წვრილი ამბავი

✦ უკვალოდ დაიკარგა სოფლის ქუჩაზე მცხოვრები არჩანდ მირზოევი.

### საზოგადოებანი და კრებანი

✦ **ამხანაგობა „გურია".** 10 აგვისტოს დეპუტატთა საკრებულოს სადგომში თავ. პ. ი. თუმანიშვილის თავჯდომარეობით ამხანაგობა „გურია"-ს წევრთა საერთო კრება მოხდა. გამგეობის წევრის ი. ვ. ტერ-ვართანოვის მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: ამხანაგობა დაარსებულა 1910 წ. თავ. პ. ი. თუმანიშვილის თაოსნობით. ამხანაგობის პაებს 300 მანეთიდან 1000 მანეთამდე აუწევია. საიჯარო მიწა—ერთი დესეტინა, რომელიც 1½ წლის წინად 1 მან. ღირდა, ახლა 40 მან. ღირს. კრებას მსჯელობა ჰქონდა იმის თაობაზე, თუ როგორ დაიმუშაოს ამხანაგობამ იჯარით აღებული საიჯარო მიწები, მაგრამ ვერავითარს გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. ამხანაგობის შემდეგი კრება 17 აგვისტოს მოხდება.

✦ **ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს** უკანასკნელ კრებაზედ განხილულ იქმნა ქალ. დუშეთისა და აგარაკ კოჯრის წლევანდელ წლის შემოსავალ გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. კრებამ ხარჯთ-აღრიცხვები ზოგიერთი ცვლილებით დაამტკიცა. შემდეგ კრებამ მოისმინა თელავის რწმუნებულთა თხოვნა, რომ ქალაქს კასიდან 2500 მანეთიანი სესხი მიეცეს ხოლერასთან საბრძოლველად. კრებამ ნაადრევად იცნო თხოვნა და უარჰყო.

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას** კრებამ, რომელიც შესდგა თავ. ვახვახიშვილის თავჯდომარეობით 11 აგვისტოს, განიხილა მოხსენება ეგაძის მამულის შესახებ ქვემო ქალაში და დაადგინა, იმ მამულში სამეურნეო

სადგური დაარსოს ამერიკულ ვაზისა და ხეხილის სანერგე მოაწყოს, სამაგალითო ბოსტანი გააშენოს და სხვა. გარდა ამისა კრებამ გადასწყვიტა ორი წლის ვადით მიიღოს ახალგაზრდა მუშები, რომელნიც გონივრულ მუშაობას შეისწავლიან. გეგმის შემუშავება დაავალა ბ. ს. ხუნდაძეს და საზოგადოების მდივან ე. კარბელაშვილს. შემდეგ კრებამ მოისმინა თავ. ლ. ჯანდიერის წინადადება ასეთივე სამეურნეო სადგურისათვის სოფ. ვაჩნაძიანში მამულის შეწირვის შესახებ. თავ. ჯანდიერს მადლობა გამოუცხადა და გადასწყვიტა გაჰგზავნოს კახეთში რამდენიმე წევრი, რომელიც თ-დ ჯანდიერთან ერთად მამულს დაათვალიერებს, გეგმას შეიმუშავებს და შემდეგ დასამტკიცებლად საბჭოს წარმოუდგენს. ბ. ხეთაგურისაგან წარმოდგენილი სმეტა გადაეცა საბჭოს წევრს—ხაზინადარს თ. კ. მ. ლორთქიფანიძეს, რომელიც სპეციალისტებთან ერთად განიხილავს და ახლო მომავალში თავის მოსაზრებას საბჭოს წარუდგენს.

## სასამართლო

◆ გუშინ ტფილისის პალატის პირველ დეპარტამენტში განხილულ იქმნა პ. გოთუას სააპელაციო თხოვნა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ზ. გოთუას სასამართლოს წევრის კოვანკოს შესახებ „ზაკავკაზსკაია რეჩში“ წერილის მოთავსებისათვის, ორი კვირით დაპატიმრება მიუსაჯა.

◆ გუშინ ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე კერძო ვექილის გოზალიანცისა, რომელსაც ბრალდება სასამართლო პალატის ბოქაულის განდარუმოვის შეურაცყოფა. სასამართლომ გოზალიანცს 1 თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

◆ სამართალში აძლევენ ქალაქის მერვე უბნის ბოქაულად ნამყოფს პრაპორჩიკ ოქონოვს, რომელმაც თავის ნებით 60 ოქმი და სხვა და სხვა ქაღალდი მოსპო.

## სომეხთა ცხოვრება

◆ 10 აგვისტოს ერევნის გუბერნატორი გრაფი ტიზენგაუზენი და სახელმწიფო სათათბიროს წევრი ი. სალათელიანი სოფ. დიდ-კარაკლისისაკენ გაემგზავრნენ, სადაც სომხურ სასოფლო-სამეურნეო საზოგადების რძის სამრეწველო კურსები დაათვალიერეს. დაათვალიერეს ეგრეთვე მსმენელთა პრაქტიკული სამუშაოები და სანოვაგის დამზადება.

## ქუთაისი

◆ **მელიტონ გობეჩიასი, ალექ. ჩხოტუასი და სხვათა საქმე.** ტფ. სასამართლო პალატის სესიამ გაარჩია საქმე მელიტონ გობეჩიასი, ალექსანდრე ჩხოტუასი, მიხა კუკულიასი და კოწია და ბესარიონ ნარაკიძეებისა, რომელთაც სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრობა, მებრძოლი რაზმების დაარსება, საზღვარ-გარეთიდან იარაღის შემოტანა და სხვა საქმეები ბრალდებოდათ. სასამართლომ გადაუწყვიტა: მელ. გობეჩიასა და ალ. ჩხოტუას 4 წლის კატორღა, მიხა კუკულიასა და კოწია ნარაკიძეს—ციმბირში გადასახლება, ხოლო ბესარიონ ნარაკიძე სრულიად გაამართლა.

◆ **ტუსაღის მოკვლა.** 9 აგვისტოს, დილის 2 საათზე, ქუთაისის სასამართლოს ზემო სართულიდან გორის 202 პოლკის ჯარის კაცმა კუმიშკომ და ტიოსამ ჩამოიყვანეს ქვედა სართულის ტუსაღების განყოფილებაში ბრალდებული კატორღელი, ქუთაისის მცხოვრები ვასილი სტეფანეს ძე კიკავა, ბორკილების დასადებად. როცა ბორკილებს ადებდნენ, კიკავამ ხელი ჰკრა კუმიშკოს, წააქცია, მერე გამოვარდა გარედ და გაიქცა. მას დაედევნა მეორე ჯარის კაცი ტიოსა. როცა ტუსაღმა ქიშკარს მიაღწია, მას შეხვდა ორი უცნობი, რომელმაც გადასცა ტუსაღს რევოლვერი. შეიარაღებული ტუსაღი, სროლით მირბოდა სომხების ქუჩის შესახვევში და თან მისდევდა ჯარის კაცი. ტუსაღმა ერთი ტყვიით მსუბუქად დასჭრა ჯარის კაცი მარჯვენა მხარში, ჯარის კაცმა ტიოსამ ესროლა მას და იქვე მოჰკლა.

◆ წასული წლის განმავლობაში **ქალაქის საბჭოს სხდომა** დანიშნული ყოფილა სულ 44-ჯერ: აქედან შემდგარა სულ 24 სხდომა, რომელსაც განუხილავს სულ 201 საქმე. ქალაქის გამგეობას კი ჰქონია სულ 170 სხდომა და განუხილავს 1011 საქმე.

## სოხუმი

◆ **შეიპყრეს** 5 აგვისტოს ირაკლი თეიმურაზის ძე ჯაბუა, რომელსაც ეკატერინოდარის ოლქის სასამართლო კარგა ხანია დაეძებდა.

## პროვინცია

◆ **სოფ. სართიჭალა** (ტფილისის მაზრა). აქაურის მცხოვრების ედიშერ ჯავახიშვილის საბძელს უცნობ ბოროტმოქმედთ ღამით ცეცხლი წაუკიდნია. დაიწვა 400 მანეთის ძნა. იქვე აქაურ მცხოვრებ ესტატე გურგენიძეზე მიიტანეს.

◆ **აგარაკი მანგლისი** (ტფილისის მაზრა). ნადირობის დროს კადეტების კორპუსის მასწავლებელმა გრიგოლ შერემეტევიჩმა უეცრად საფანტით შუბლსა და ხელში დასჭრა 11 წლის გლეხის ქალი მარიამ გარეჩკინა.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში მოთავსებულ „ნარკვევი“-ს ბოლოში კორექტურული შეცდომა შეგვეპარა. დაბეჭდილია: „მხოლოდ ის კი არ ვიცით თვით **ის ვაჟბატონები**, რომლებსაც ასეთს „საპატიო“ მისიას აკისრებენ, **როდის** იგრძნობენ თავს ამ ახალ როლში“. უნდა იყოს: „თვით **ის ვაჟბატონები... როგორ** იგრძნობენ თავს“ და სხვა.

# ჟურნალისტის დღიური

### 39.

### ამომრჩევლის ხმა.

ქართველი ყოველთვის სუსტი პოლიტიკოსი იყო. იგე ადვილად ვერავის მოატყუებდა ადამიანი, როგორც ქართველს. გულ-უბრყვილობა პოლიტიკაში კი ისეთი მავნებელი რამ არის, რომ ძალიან ხშირად იგი აღმოუფხვრელ კვალს დასტოვებს ხოლმე ერის ცხოვრებაში. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი ისტორიული მაგალითი ხომ ხელთა გვაქვს. ცხოვრება შეიცვალა, საქართველოს ახალს პირობებში უხდება მუშაობა, მაგრამ ნიჭი პოლიტიკოსობისა არც ჩვენს დროშია დასაწუნი. ეხლაც საჭიროა ვიცოდეთ, ვის რა აწუხებს, ვინ რა მიზნითაა გატაცებული, და პიტალო სიტყვები, დიპლომატიური ოინები ჭეშმარიტ გულის ნადებად არ მივიღოთ. გულუბრყვილობა დღევანდელს პირობებშიაც ცხვირიდან ძმარს გვადენს და სინანულში ჩაგვაგდებს. ვერ ვიტყვით, რომ ქართველებს ეხლაც შეესწავლოთ მომავალ პერსპექტივის გათვალისწინება. ქართველების მოღვაწეობას ყველგან და ყოველთვის იმპულსიური ელფერი გადაჰკრავს, იგი განსაზღვრულ მიზანთან არ არის შედუღებული. ეს გარემოება კი ხშირად საშუალებას გვიხშობს კარგად ჩა[illegible] ხოლმე საქმის [illegible]ოებას და მთელს ჩვენს მოქმედებასაც მეტი აზრიანობა მივცეთ.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ქართველის აზროვნება ხშირად ძალიან ვიწრო ფარგლებში ტრიალებს, მოვიყვან ერთს წერილს, რომელიც რედაქციამ მიიღო.

როგორც მკითხველს მოეხსენება, „გოლოს კავკაზა“-მ მოწოდებით მიმართა ქართველებს და ურჩია რუს ამომრჩევლებთან შეთანხმება. „გოლოს კავკაზა“-ს ძალიან კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. ეს ის გაზეთია, რომელიც თავის პოლიტიკურ იდეალად არა რუს მცხოვრებთა გარუსებას ისახავს. იგი სისტემატიურად ანვითარებს ამ თავის იდეალს და ყოველის შემთხვევითა სარგებლობს, რომ, ჯერ ერთი, ათასნაირი ჭორები გაავრცელოს ქართველების შესახებ და, მეორეც, მოუსპოს მათ გზა განვითარებისა. „გოლოს კავკაზა“ საშინელი, დაუძინებელი მტერია კავკასიის რეფორმებისა. იგი არამც თუ ეურჩება ერობის შემოღებას კავკასიაში, თვით ერობის იდეასაც კი ამასხარავებს. იგი ბუკითა და ნაღარით გაელაშქრა კავკასიის უნივერსიტეტის წინააღმდეგ. ერთის სიტყვით, „გოლოს კავკაზა“ ეწინააღმდეგება ყველა იმას, რასაც შეუძლიან ცოტად თუ ბევრად შეღავათიანი კულტურულ-ეკონომიური ცხოვრება მიანიჭოს ქართველებს.

ასეთი გაზეთის მოწოდება, რა თქმა უნდა, საფუძვლიან ეჭვებს აღძრავდა ჩვენს გულში. მართლაც, შეუძლიან თუ არა „გოლოს კავკაზა“-მ მოგვცეს გარანტია, რომ იგი ერთბაშად შეიცვლება და მომავალში მტრობის მაგიერად მოყვრობას გაგვიწევს? ჩვენის ღრმა რწმენით, „გოლოს კავკაზა“ ამის გარანტიას ვერ მოგვცემს, რადგანაც ეს თავის უარყოფა იქნებოდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ თუ ყველა არა, ჩვენ მკითხველთა უმრავლესობა მაინც სწორედ ამნაირად ფიქრობს და ჩვენსავით აფასებს „გოლოს კავკაზა“-ს მოღვაწეობას. მაგრამ აი, მოგვივიდა საყვედურის წერილი, რომელსაც სავსებითა ვბეჭდავთ:

მოწყალეო ხელმწიფევ. ბატონო რედაქტორო! წავიკითხეთ თქვენი გაზეთის მეთაური: „გოლოს კავკაზას“ მოწოდების გამო დაწერ[illegible]... ეს წერილი დიდის გულმოდგინებით ჩავიკითხეთ ბოლომდის და მისი დაბოლოებით გავოცდით! ბოლო წერილისა ასეთია: .....„და ამიტომ, ნურას უკაცრავოდ, თუ მის (ე. ი. „გოლოს კავკაზას“) რჩევას არ **გავყვებით**“ და სხვა.

ნეტა ვიცოდეთ, ვის შეეხება ეს სიტყვა „არ გავყვებით“, თქვენ, ბატონო რედაქციელებო, თუ ტფილისელ ქართველებს? თუ მარტო თქვენ შეგეხებათ, ინებეთ, როგორც გსურდეთ, ისე მოიქეცით, მაგრამ თუ ტფილელი ქართველობა გყავთ სახეში, ამაზედ კი უკაცრავად და მის, ე. ი. ტფილისელ ქართველ ამომრჩევლების ვექილობა თქვენთვის ჯერ არავის მოუცია და თავს რასათვის იწუხებთ, არ გვესმის. ჩვენ კი გავყვებით! აი რათა: შურით, ქიშპობით, მტრობით და ურთიერთ შორის უთანხმოებით გაფუჭებული ქვეყნიდ მრავალი რამ გვინახავს, ხოლო გაკეთებული კი არასოდეს! ეგ ერთი, და მეორეც ისა, რომ საერთოდ საქმის გაკეთება მასთან უკეთესია, ვისთანაც ჩვენდა ნებით თუ უნებლიედ ისტორიულად გადახლართულვართ, სამტროც და საძმოც ერთი გვაქვს და ყოველი შემოსული, ორივეს ერთად გადახლართულებს, თუ გარემოება ხელს უწყობს, არაფერში არ ვზოგავს.

ერთი ამომრჩეველთაგანი **გიგო თოიძე.**

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ბ-ნი თოიძე ტყუილად გვწაპებს ვექილობას. ჩვენ მხოლოდ ვურჩევდით, და რჩევის უფლებას კი ვერავინ წაგვართმევს. მეორეც, არ შეგვიძლიან მწუხარება არ გამოვსთქვათ, რომ ბ-ნი თოიძე შორს მჭვრეტელობას ვერ იჩენს. მტრობა და უთანხმოება, რომელსაც ბ-ნი თოიძე უჩივის, დათესილია თვით „გოლოს კავკაზა“-ს მიერ ქართველების კეთილ-დღეობას ებრძვის ისევე ის „გოლოს კავკაზა“ თავის თანამოაზრეებითურთ. იმის შემდეგ, რაც „გოლოს კავკაზა“-მ გასაოცარი სიძულვილი გამოიჩინა ქართველებისადმი, მასთან შეთანხმებას მხოლოდ ის ურჩევს ამომრჩევლებს, რომელიც თავის ცხვირს იქით ვერაფერსა ხედავს და დროების მიხედვით წარმოთქმული ტკბილი სიტყვები გულწრფელ გრძნობის ნაყოფად მიაჩნია.

„გოლოს კავკაზა“-სა სურს, ქართველებთან შეთანხმებით, ერთის მხრით სომხებს შეებრძოლოს, მეორის მხრით კი თავისი თანამოაზრენი გაიყვანოს ქალაქის თვითმმართველობაში. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა ჯურისანიც არიან ეს თანამოაზრენი, როგორ მოექცევიან ქართველებს მაშინ, როდესაც ზურგს მოიმაგრებენ საზოგადოებრივ დაწესებულებაში, და ამიტომ მათთან შეთანხმებასაც დამშვიდებულის სინდისით ვერავინ [illegible].

ჩვენ ვხედავთ ყველა ამას, და თუ ახვები ვერა ხედავენ, მხოლოდ მწუხარების გამოთქმა ღა შეგვიძლიან.

**შინაური.**

# წერილი კახეთიდან

ფრიად საყურადღებოა „მგზავრის შენიშვნა“*) სოფ. ენისლის უძველეს ნაშთთა შესახებ, და ამისთვის ვისწრაფვი ვაუწყო პატივცემულთ მკითხველთ ცოტაოდენი რამ მის შესახებ. ს. ენისლის ციხე-სიმაგრე და მასში კახეთის მეფის ლეონის მიერ მე-17 საუკუნეში აგებული მშვენიერი გუმბათიანი ტაძარი „მთავარ ნიკოლოზი“, რომელშიაც განისვენებს თვით ლეონ მეფის ნაშთი, თავის ოთხსართულიან სამრეკლოთი, რომელსაც სხვა ბევრი დანიშნულებაც ჰქონია იმ დროს, ეკუთვნის ეხლა სოფ. ენისლის სამრევლოს. იმ ადგილებში, სადაც ეხლა მდებარეობს სოფ. გრემი, ენისელი და ნაქალაქევი, შაქრიანის მიჯნამდის, შვიდის ვერსის მანძილზედ გადაჭიმული იყო ქალაქი „გრემი“, რომლის მცხოვრებთა სიმრავლესა მოწმობს აქამდის ხალხში დარჩენილი ზეპირ-გადმოცემა: ერთხელ ქალ. გრემის ერთს კუთხეში შემოიტანეს ასი აქლემის საპალნე ჩალის კოვზი და მეორე უბნის მცხოვრებთ არაფერი არ შეჰხვდათო“. მის სიძველეს ამტკიცებენ მამა-პაპათაგან ნაშენნი და ჯერედ ისევ კარგად დაცულნი შვიდის ვერსის მანძილზედ გამწკრივებულნი გუმბათიანი ეკლესიანი, აბანოები, ციხე-სიმაგრენი, მიწაში გაყვანილნი გვირაბნი და მრავალნი სხვა და სხვა ძველი ნაშთნი, რომელთაც ჯერედ კიდევ არ დაუკარგავთ ხალხში მნიშვნელობა და სახელები; მაგალ. „თარსაგალავანში“1) კიდევ მკვიდრადა სდგას მაშინდელი უმთავრის ბაზრის თალიანი შენობის ნაწილი, რომელსაც ეხლა „ნაქულბაქევს“2) უწოდებენ. ტაძარი „მთავარ ანგელოზი“, როგორც თვით მგზავრსაც შეუნიშნავს, აშენებულია პატარა ტანიან გორაკზე და შემოზღუდულია კარგა მაღალი გალავნით, სადგანაც ჩაშვებულია ქვით-კირით ნაშენი გვირაბი მდ. ინწობაში, წყლის საზი-

*) იხ. „სახალხო გაზეთი“, N 367
1) უბნის ერთი მაშინდელი ქალაქის სახელია.
2) ქულბაქი—ბაზარია.

# ცხოვრება და ხელოვნება.

### საფრანგეთის ეხლანდელი დრამატიული ლიტერატურა.

### VI.

(შემდეგი *)

ჩვენ გვგონია, რომ საფრანგეთის ეხლანდელ დრამატიულ ლიტერატურაში ერთი უფრო ღირს-შესანიშნავი დრამა პ. ბურჟეს „ბარიკადებია“.

პოლ ბურჟე ფრიად ნიჭიერი მწერალია და საფრანგეთში უკანასკნელს ოცის წლის მწერლობაში ერთი უპირველესი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ. მისი ფსიხოლოგიური რომანები **) („მოწაფე“, „ცოდვა სიყვარულისა“, „სიცრუე“), პირდაპირ შედევრებია. სამწუხაროდ ამ ბოლო დროს მისი დიდი ნიჭი მოსწამლა უნიადაგო შოვინიზმმა და ხანს გადასულმა კათოლიციზმმა. წარსულის საუკუნის ორმოცდა-ათიან წლებში ერთგვარი გატაცება იყო ნეო-ქრისტიანიზმით (დეჟარდენი, ბურჟე, ბრიუნეტიერი, სეკრეტანი და სხვ.), ეს მოვლენა, ვითარცა ძიება ახალის გზისა ცხოვრებაში, არაფერს გასაკიცხავს არ შეიცავს და თვით უნიჭიერესი მწერლები და ფილოსოფოსები იყვნენ ერთ დროს ამ მიმართულებით გატაცებულნი. მაგრამ, საუბედუროდ, ახალის გზის მაძიებელნი ძველ დახავსებულ ბილიკს მიადგნენ, ძველ ურვარგის ნავთსადგურს შეაფარეს თავი და ახალის აღმოჩენის მაგიერ, რომის პაპის ქოშებს დაუწყეს ლოკვა. ასე დაემართა პოლ ბურჟეს, ერთ დროს უცნაურ სკეპტიკს და უებრო ანალისტს თანამედროვე ახალგაზრდობის სულის კვეთებისას. ესევე მოუვიდა ფრიად ნიჭიერს და განსწავლულ მეცნიერ-კრიტიკოსს ბრიუნეტიერს, კრიტიკოსს ლემეტრს, მწერალ ბარესსა და სხვათა. პოლ ბურჟემ ამ ბოლოს ხანში რამოდენიმე რომანი დასწერა მეტად დამძაფრებულის ტენდენციებით აღსავსე, რომლებშიაც იმას გვიმტკიცებდა, რომ ვინც ოფიციალურის კათოლიციზმის აღმასრულებელი არ არის, და ყოველივე მისი დაძველებულის ფორმების გამადმერთებელი, მას მოელის ყოველივე უბედურება, სირცხვილი, კაკოტრება ზნეობრივი და ქონებრივი; თუ გინდ თვით ყოველის კეთილით აღსავსე იყო, ყოვლად პატიოსანი და ზნეობრივობის ყოველივე მოთხოვნილების აღმასრულებელი (იხ. მისი რომანი „ეტაპი“, „ემიგრანტი“, განქორწინება“). მარტო ის ფაქტი, რომ რომელიმე ადამიანი არ არის სარწმუნოების ყოველივე ფორმის აღმასრულებელი, უკვე მომაკვდინებელ ცოდვადა აქვს მიჩნეული ბურჟეს ამ ნაწარმოებებში, და ამისთანა ადამიანისათვის ყოველ გვარი სასჯელი აქვს გამზადებული.

ზევით უკვე მოვიხსენიეთ, რომ ბურჟე თავისს დრამა „განქორწინებაში“ (ზემოხსენებულის რომანიდან აქვს ამოღებული), იმ აზრს ადგია, ქორწინება ისეთი მტკიცე და შეურყეველი კავშირია, ისეთი ღვთისაგან განწესებული უღელია, რომელსაც უნდა დაემორჩილნენ უსიტყვოდ მეუღლენი, თუ არ უნდათ სამარადისო უბედურებასა და ტანჯვაში ჩავარდნენო.

საქმე იქამდის მიდის, რომ პოლ ბურჟე განყენებულის სარწმუნოების მომხრე კი არაა, სარწმუნოების ერთ ერთის არსებულის ფორმის თაყვანისცემა მიაჩნია ერთადერთ და ჭეშმარიტ მართლ-მორწმუნებად. ვითა ძველ ფანატიკოსს, კათოლიციზმის თვით ისეთი გაყინული ფორმები მიაჩნია კაცობრიობის ხსნის ღუზად, რომელნიც კათოლიკეთა ეკლესიაც იძულებულია თავიდან მოიშოროს, ვითა გამომსახველნი ხან-გადასულისა და მომპალის ჩვეულებებისა და მოთხოვნილებებისა.

მიუხედველად ამისა, რომ პოლ ბურჟემ თავისი ბოლოდროინდელი რომანები და დრამები პუბლიცისტიკის ასპარეზად გახადა და თვით მეომარ ჟურნალისტად გადაიქცა, რომელიც იარაღად სიტყვა-კაზმულს მწერლობასა ხმარობს—მისი ნაწარმოებნი დიდად საყურადღებონი არიან. ეს ნაწარმოებნი ჯერ ერთი ნიჭის მადლით შემოსილნი არიან და მეორე მწვავე საგანს ეხება ხოლმე.

ასეთია მისი ზემოაღნიშნული დრამა „ბარიკადებიც“. ამ დრამაში დაპირდაპირებულია პატრონი და მუშა. მუშები გაიფიცებიან თავისის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ პატრონებიც არა ჰყრიან იარაღსა და იგინიც თავისებურ გაფიცვას მოახდენენ, ან როგორც ამას ეძახიან, „ლოკაუტს“. ე. ი. გაფიცვაში მონაწილეობის მიმღებ მუშებს სამუშაოს აღარ აძლევენ. დიდი და ნიშანდობლივი ინტერესი და ღირსება ამ დრამისა, რომელიც მთელმა საფრანგეთის მწერლობამ აღნიშნა იმით, რომ პოლ ბურჟე გულ ახდილად გამოდის კაპიტალისტების ინტერესების დამცველად და ურჩევს მათ იმავე იარაღით ებრძოლოს მუშებს ე. ი. გაიფიცნენ მუშათა წინააღმდეგ. A la guerre comme à la guerre—ომის დროს ისე უნდა მოიქცე, როგორც ომს შეჰფერისო და მაშასადამე არც სიბრალულს და არც არავითარ სენტიმენტალიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდესო. რადგან ამ დრამამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში, ბურჟემ მთელი ლექცია წაიკითხა და განავითარა თავისი ტეზისები:

„ჩემთვის არ არსებობს გრძნობანი გულ-მოწყალებისა და კეთილობისა“ (როგორ მოგწონთ ქრისტიანე-კათოლიკე?). ასე გვიხსნის პოლ ბურჟე თავისის დრამის აზრსა, „მე ვიცი მხოლოდ ჭეშმარიტი აზრი, ანუ ცრუ აზრი და თუ კაცი სწერ რასმე, სწორედ იმიტომ, რომ ის აზრი გაავრცელო, რომელიც მიგაჩნია ჭეშმარიტების გამომსახველად. საქმე ის კი არაა, მოგწონს თუ არა ეს მოვლენა, სასიამოვნოდა და სასურველად მიგაჩნია იგი? არა. არის შეურყეველი **ფაქტი**: ეს ის, რომ არსებობს ორი **ჯგუფი**, კლასი მუშათა და პატრონთა, კაპიტალისტთა, რომელთა შორის „ბარიკადებია“ ამართული. ამ „ბარიკადების“ გამართვაში არც მუშაა პასუხისმგებელი და არც კაპიტალისტი. ეს თვით ცხოვრებამ შეჰქმნა და მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ძირითადად შეიცვლება თვით ცხოვრება, როცა გარდაიქმნება თვით ის ცხოვრება, რომელმაც ეს პირობები წარმოშობა. საკითხავი ის კი არ არის, რა სჯობია საზოგადოებისათვის: მშვიდობა და მყუდროება, თუ ბრძოლა და ომი. საქმე ის არის, რომ არსებობს ეს ბრძოლა-ქიშპობა და ომი კაპიტალისტთა და მუშათა შორის და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ვინ მოგახსენათ, რომ ყოველივე ჭეშმარიტება ნუგეშინის მცემელი იყოს? ზოგი თავზარდამცემია და ერთ ასეთს წარმოადგენს ის შეურყეველი ჭეშმარიტება, რომ კლასთა შორის ბრძოლა დღევანდელის ცხოვრების მიუცილებელი პირობაა. და მეც გათვალისწინებული მაქვს რა ეს მოვლენა, მინდა **ჩემს კლასს** (ხაზი ჩვენია), ვემსახურო, მისი ინტერესები დავიცვაო. ასე ამთავრებს ბურჟე თავის ქადაგებას და ურჩევს თავის კლასს, ე. ი. მესაკუთრე კაპიტალისტებს წინააღმდეგობის მუშისას, მუშათა ბრძოლას ბრძოლითვე გასცეს პასუხი, ხოლო გულჩვილობისა და დათმობის გზა მიატოვოს და მარტო მოპირდაპირის დამარცხებაზე აღაშენოს მომავალის იმედი. ასე სასტიკად, ასე გულახდილად გამოთქმული აზრი ბრძოლისა, კაპიტალისტთა კლასის წარმომადგენლის მხრივ, თითქმის საარაკოა. და ყოველისგვარის წახალისების ღირსია მწერალი, რომელიც ასე გულწრფელად, ასე აშკარად ჩამოაგლეჯს ნიღაბს თავისს კლასსა. „კლასსთა ბრძოლა“ იყო ლოზუნგი მშრომელ ხალხის ინტერესთა დამცველებისა. ეს ლოზუნგი საზოგადოების სიმდიდრის პატრონს კლასს ცრუდ და უნიადაგოდ მიაჩნდა. დღეს კი ერთი უნიჭიერესი მისი წარმომადგენელი, არა თუ აღიარებს ამ მოვლენის—კლასსთა ბრძოლის—არსებობას, მის მიუცილებლობასა და უეჭველობას სადაოდ აღარა ჰხდის და მთელს კლასს იწვევს საომრადა და საბრძოლველად თავისის ქონებისა და ძალის დასაცველად. პოლ ბურჟე იმდენად გაუტაცნია თავისის კლასსის ინტერესს, თავისის კლასსის პოზიციის იმდენად სასტიკსა და თავგამოდებულის დამცველის როლსა ჰკისრულობს, რომ ქრისტიანულს გულმოწყალებასა და სარწმუნოებრივს სიმშვიდეს სრულიად ივიწყებს, ის ნამდვილ გამაგებულ მეომრად გამოდის, და როცა მისის კლასსის ბედ-იღბალზეა საქმე, სრულიადაც აღარ ახსენდება მაცხოვრის იგავი მდიდრისა და ორის პერანგის შესახებ და ეს ის მწერალია, რომელიც სხვა დროს ქრისტეს მცნების დამრღვეველს ყოველგვარის სატანჯველის ღირსად სცნობს. მით უფრო საყურადღებოა, ვიმეორებ, და პატივსაცემი, ეგრეთი გულახდილობა მწერლისა.

*) იხ. „სახ. გაზეთი“, N 375.
**) იხ. ჩემი წერილები „მოამბეში“ 1894 წელს.

დით. ამ ეკლესიის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით ასიოდ საჟენის მანძილზე იყო გაშენებული მეფის სასახლე (ეხლა „ნატახტარს“ ეძახიან იმ ადგილს) და კარის ეკლესია „ღვთისმშობლის მიძინებისა“ თავის სამრეკლოთი, აშენებული თეიმურაზ მეფისაგან. იგი კიდევ სამწირველოდ არის დატოვებული. როგორც საქართველოში სხვა ბევრი დაბა-ქალაქები, ქალ. გრემიც შეუბრალებელს მტერს — სპარსთა მბრძანებელს არ გადაურჩა შეუმუსრი; გაძარცვა თვით ტაძარიც და სადამდისაც კი მისწვდა მისი ცოდვილი ხელი, ხანჯლით თუ თოფით შემუსრა.

1877 წ. სოფ. ენისლის მკვიდრთ (გლეხებმა) შეუკეთეს და განაახლეს ეს მშვენიერი ტაძარი თავის ხარჯით. 1879 წ. აკურთხეს და განაწესეს სამწირველად. 1877 წ., როდესაც ეკლესიის განახლება გადასწყვიტეს, ხალხმა შემწეობის აღმოსაჩენად თავ. გიორგი ჯორჯაძეს მიჰმართა. სოფ. ენისელს არც საკუთარი და არც სახელმწიფო ტყე არა აქვს, და თავადსაც მარტო ესა სთხოვა, სამწუხაროდ, მან ამ უმნიშვნელო თხოვნის უარი სტკიცა. ასეთს მდგომარეობაშია დღეს ეს ტაძარი.

ეს სამი თვე იქნება, რაც სოფ. საბუეში მცხოვრებმა გლეხებმა და თავადებმა მდ. ინწობიდან სოფლად აიყვანეს ექვსი დიდი არხი წყალი სარწყავად და მით მთლად მოუსპეს სოფ. ენისლის მცხოვრებთ და მასთან მთელს მაზრის სამკურნალოს (სოფ. ენისელში არის დაარსებული სამკურნალო საწოლ-კრაოტებით), რომელშიაც ყოველ დღე არა ნაკლებ 100—160 ავადმყოფი მოდის შემწეობის აღმოსაჩენად, ერთად-ერთი სასმელი წყალი მდ. ინწობისა. უწყლობით შეწუხებულთ მკვიდრთ დეპეშით მიჰმართეს გუბერნატორს, რომლის ბრძანებითაც 21 ივლისს მოვიდა ინჟენერ—გიდრავლოგი და გამოძიების შემდეგ სოფ. ენისლის და ნაქალაქევის მცხოვრებთა სასმელი წყლით დაკმაყოფილება მდ. ინწობიდან აუცილებელ საჭიროებადა სცნო. შეადგინა ოქმი, გაჰყო მთელი წყალი და ერთი მეთორმეტე ნაწილი მთელის წყლისა გამოუშვა ს. ენისელში, რომელსაც მუდამ უნდა ედინა. ასეთივე განკარგულება წყლის შესახებ ამ მდინარის ბატონ-პატრონთ ძალიან იტკიცეს, და ჯერ სტრაჟნიკები და წყლის გამომგდები ხალხი ენისელში არც-კი ჩამოსულიყო, რომ საბუელებმა წყალი ისევ მოწყვიტეს და უფრო მკვიდრად შეჰკრეს წყლის არხები. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გადმოუგდო ბოქაულმა წყალი, მაგრამ ისევ მალე მოწყვიტეს, და ხალხი ისევ იმავ ტანჯვა-ვაებაში დარჩა.

ივლისის დამლევს სოფ. ენისელში გაჩნდა საქონლის ჭირი და საქონლის ექიმებმა სოფელი შეჰკრეს. საქონელს არ უშვებდნენ სხვა სოფელში წყლის დასალევინებლად და აქ-კი ნამიც არ მოდიოდა; ისე გაჭირდა საქმე, რომ ორი დღე და ღამე საქონელი უწყლოდ დარჩა ამ სიცხეში. გაჭირვებულმა მცხოვრებლებმა მიჰმართეს მაზრის უფროსს და მხოლოდ მის ბრძანებით სტრაჟნიკებმა და ხალხმა ძლივს გამოიყვანა ცოტაოდენი წყალი სოფლად... ბურჯა.

# ჩვენი თეატრები

სეზონის დასაწყისი მოახლოვდა. მხოლოდ თვედა დარჩა იმ რიცხვამდე, როდესაც ჩვეულებისამებრ სეზონის პირველი წარმოდგენა უნდა გაიმართოს. სამწუხაროდ, ვგონებ, წელს არამც თუ ამ რიცხვისათვის, არამედ სრულიად არ გვექნეს წარმოდგენა მთელ სეზონის განმავლობაში. დრამატიულ საზოგადოების კრებაზე კი გადასწყდა, რომ გამგეობამ უსათუოდ იყოლიოს წელს დასი და მოაწყოს სეზონი, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას ბევრი რამ აბრკოლებს. საზოგადოებას არავითარი სიცოცხლე არ ეტყობა. სეზონისათვის მზადება, მსახიობების მოწვევა, დასის შედგენა, რეპერტუარის შემუშავება და სხვა მრავალი, მუდამ ზაფხულობით კეთდება ხოლმე და სექტემბრისათვის უკვე ყველაფერი მზად უნდა იყოს. წელს კი გამგეობას კრების გამართვაც ვერ მოუხერხებია, რომ გამოარკვიოს საჭირბოროტო საკითხი: გვექნება წელს დრამატიული სეზონი თუ არა. ტყუილი იმედი აქვს გამგეობას თავად-აზნაურობისა. როგორც ვხედავთ, იქ ხელსაც არ ანძრევენ, რომ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ. ასეთი არა სასურველი მდგომარეობას ძლიერ ცუდი შედეგი მოჰყვება; ვინაიდან კერძო პირიც არა სჩანს ისეთი, რომ ანტრეპრიზა თავს იდვას და საზოგადოება უთეატროდ არ დასტოვოს, ერთად ერთი იმედი კლუბია, მაგრამ ისიც არ არის საგულისხმიერო, რადგანაც იქაური წარმოდგენები შემთხვევითია. უფრო ინტერნაციონალური ხასიათი აქვს, კლუბს, ვიდრე ქართული. უბრალო ვოდევილისა და კომედიების წარმოდგენები არავითარ საზრდოს არ მიაწვდის საზოგადოებას. ამტომ საჭიროა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ საბოლოოდ გამოარკვიოს, თუ რა მდგომარეობაშია საქმე, და თუ არ შეუძლია წელს სეზონის გაძღოლა, მაშინ ხელი აიღოს, გამოაცხადოს ამის შესახებ და შეიძლება კერძო პირი ან ამხანაგობა მაინც შესდგეს. არც სახალხო სახლში მიდის საქმე ხეირიანად. რეჟისორის არჩევა, გამგეობას ერთ სოუკეთესო წევრის გამგეობიდან წასვლა და ზოგიერთი ხმები გვითითებენ, რომ იქ უფრო მეგობარ ამხანაგობა სუფევს, ვიდრე საქმისადმი სწორის თვალსაზრისით შეხედვა. ჯერ ერთი ის, რომ ახალგაზდა მსახიობი, შეიძლება ძალიან კარგიც, რომელსაც მხოლოდ ერთი სეზონი უთამაშნია რეგულიარულად და რომლის გამოცდილებაც დიდი არ არის, —არა გვგონია რეჟისსორობას მოერიოს. ამისათვის საჭიროა ჯერ შესაფერი სკოლა, და თუ სკოლა არა აქვს კაცს გავლილი, მაშინ დიდი ხნის პრაქტიკა მაინც უნდა ჰქონდეს. რეჟისსორობის შესახებ არც ერთი და არც მეორე არ შესწევს გ. მდივანს, რაც დაგვანახვა სახალხო სახლში მისი რეჟისსორობით გამართულმა უკანასკნელმა წარმოდგენებმა. თუ ხალხის გემოვნების გაუმჯობესება სურდა სახალხო სახლის ქართულ სექციის გამგეობას, ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია, და „ამხანაგურად“ არ მოჰქცეოდა საქმეს. ჩვენ ბ. არჩილ ავალიშვილის გასვლას გამგეობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, რადგანაც, როგორც ვიცით, ის ძლიერ მოწადინებული იყო სახალხო წარმოდგენებისათვის ემსახურნა, და თუ არა საპატიო მიზეზი, თავს არ დაანებებდა გამგეობას. გადაჭრით იმის თქმა, თუ რამ აიძულა იგი გამგეობისათვის თავი დაენებებინა, არ შეგვიძლიან, მხოლოდ სასურველი კია, ყველაფერი აშკარად ხდებოდეს, საზოგადოებისათვის ყველაფერი ცხადი იყოს. ამიტომ საინტერესოა, თვით ბ. ავალიშვილის აზრის მოსმენა ამ საკითხის შესახებ. საჭიროა აგრეთვე დანარჩენმა წევრებმაც გამოსთქვან თავისი აზრი.

კოხრელი.

# წერილი ნულიდან

(გორის მაზრა).

დაბა ცხინვალიდან შვიდ ვერსზე დასავლეთით, ფრონის მარჯვენა ნაპირზე, ერთს მაღალ კორდზე, მდებარეობს ოირმოც-კომლიანი სოფელი ნული. ამ სოფლის მცხოვრებლებს შეადგენენ: გლეხნი, გაგლეხებულნი, რაღაც მიზეზის გამო, ჰავქავაძენი და ყოვლად გაღატაკებული აზნაურნი ლომიძენი, რომელნიც გლეხებში არ გაირჩევიან არც ჩაცმა-დახურვით, არც სწავლით და არც საქმით. მთელი სოფელი რომ გადაქოთო, ერთი კაცის მეტს ვერ იპოვი, რომელსაც შეეძლიან თავის გვარი და სახელის მოწერა. ჰაერი მშვენიერია, მდებარეობა საუცხოვო, მოსავალი, როგორც წელს, ზღვათ გასკდება ხოლმე, მაგრამ რა ჰქნას ყველა ამან, თუ სოფელში საშინელი უვიცობა სუფევს. აი ეს უვიცობაა მიზეზი, რომ დღეს მთელ სოფელს დარევია წითელა და სახადი და მთელი ორი წელიწადია მუსრს ავლებს დიდსა და პატარას, მშველელი აღარსაით არის. თუ ამ სოფელს ყურადღება არ მიაქცია, ვისაც ჯერ არს, ვიდრე დაგვიანებული არ არის, მთელი სოფელი ისე გასწყდება, რომ სულიერი ადამიანი აღარ დარჩება. სოფლის თავში იყო მშვენიერი წყარო, მაგრამ ამ წყაროს ასე ექცეოდნენ სოფლელნი: რეცხავდნენ წყაროს თავზედ პურს, სარეცხს, წუწები კი წყაროში ჩადიოდა. ამ წყაროს ასმევდნენ საქონელს, იყო თავლია, ჩადიოდა ჩეჩქი და ვაივაგლახი და ბევრჯელ შიგა სცვიოდა ხბორები და ბაჟშვები; ამას დაუმატოთ საშინელი სიბინძურე სოფლის ქუჩების და რა გასაკვირველია, რომ ჯერ ისევ შემოდგომით 1909 წელს საშინელმა სენმა, სახადმა მოიკალათა მას აქეთია თავი ამ სოფელში. არსად ექიმი, არსად გულ-შემატკივარი. პირველ ხანად სენის ასაცილებლად წყაროს გაკეთებას მიმართეს ვიღაცის რჩევით, მაგრამ გაკეთების მაგიერ უფრო გააფუჭეს; შემდეგ დედაკაცები მკითხავებთან სიარულს და ფთილების დასხმას შეუდგნენ და როდესაც ყველე ამან არა უშველა-რა, ეხლა მამაკაცებსაც და დედაკაცებსაც გულხელი დაუკრეფია და მხოლოდ ამასღა გაიძახიან: „ღვთის ნებაა, ვისაც უნდა მოჰკლავს, ვისაც უნდა დაარჩენს.“

მახწავლებელი დ. ენუქიძე.

# პასუხად ასიკოს, „კავკავის ჭირ-ვარამის“ ავტორს.*)

„სახალხო გაზეთი“-ს № 352-ში დასტამბულია „კავკავის ჭირ-ვარამი“, რომელშიაც ბ. ასიკო მე მეხება იმ განზრახვით, რომ დაუმსახურებელი ჩირქი მომცხოს („კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“). ვილაც „ასიკო“ ბძანდება, ის სხვისი ფარდა გამხდარა, მაგრამ ამისთანა თხელი ფარდა ვერავის დაჰფარავს.

ამ წერილში მოყვანილია ბ. ი. გ. შვილიევის (დროებით თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებლის, და არა თავმჯდომარის) ჩემზე საჩივარი:

„ეს რამოდენიმე თვეა მე გამგეობის თავმჯდომარედ ვითვლები. ტ. კახიძემ, რომელიც თავმჯდომარედ იყო, რამდენჯერმე სთხოვა გამგეობას, გაენთავისუფლებინათ იგი თავმჯდომარის თანამდებობიდგან. გამგეობა ყოველთვის სთხოვდა მას დარჩენილიყო თავმჯდომარედ და ტ. კახიძეც რჩებოდა (ვრჩებოდი დიდის თხოვნითა. როგორც მოგეხსენებათ, ამ ბოლოს დროსაც კიდევ შემოიტანა თხოვნა და ითხოვა განთავისუფლება. გამგეობამ მიიღო მისი თხოვნა და განთავისუფლა თავმჯდომარეობიდან (ოქმშია ჩაწერილი: ორ გზის სთხოვეს დარჩენილიყო თავმჯდომარედ, მაგრამ უარი განაცხადა). ეს ძალიან იწყინა ტ. კახიძემ და თქვენც ხომ კარგად გახსოვთ, რა ყოფა დაგვაწია: ფეხების ბრახუნით ჩვენ კრებას „безобразие“ უწოდა. კრებამ მე ამომირჩია თავმჯდომარედ (ტყუილია), მაგრამ ჯერაც ვერ გამიგია, რის თავმჯდომარე ვარ, ან რა უნდა გავაკეთო. ტ. კახიძე, როცა თავმჯდომარეობიდგან განთავისუფლდეს, თავისი თავი სკოლის გამგედ გამოაცხადა, გამგეობის ყველა ფუნქციები (ეს სიტყვა შვილიევს არ უხმარია და არც ესმის მას ამ სიტყვის მნიშვნელობა), საპედაგოგიო საბჭოში გადაიტანა, სადაც თვით გახდა თავმჯდომარედ (თორემ მანამდის არ ვიყავი?!) და ეხლა გამგეობის თავმჯდომარედ ეგ არის და როგორც თავის ქეიფია, ისე იქცევა. ეს თვით-მპყრობელობა მოუთმენელია და დიდი უწესოება შემოაქვს ჩვენს საქმეში. ასეთ პირობებში მე არა მსურს თავმჯდომარის სახელი ვატარო სამასხარაოდ. რაკი ასე სურს ტ. კახიძეს ბატონობა, ისევ ეგ იყვეს თავმჯდომარედ, მე კი გთხოვთ განმათავისუფლოთ ამ სახელიდან“. სიმართლის აღსადგენად ცოტა შორიდგან მოგიხდება გამართლების დაწყება და რაც უნდა მოკლედ ვეცადო საქმის გარემოების გადმოცემას, პასუხი მაინც გაგძელდება, ამისათვის რედაქციას უმორჩილესად ვსთხოვ ნუ დაიშურებს ჩემი პასუხის შეუმოკლებლად დასტამბვას.

აი საქმე რაში მდგომარეობდა: როდესაც კავკავში სკოლის დაარსება განვიზრახეთ 1887 წელს, მთავრობამ მოგვთხოვა ისეთი პირი, რომელიც პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო სკოლის საქმეებისა. მინ წინჯერ ამოვირჩიეთ ერთი პირი, მაგრამ ის ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობამ დაიწუნა. მერმე საზოგადოებამ მე ამირჩია და ხსენებულმა გამგეობამაც წარმადგინა სახალხო სკოლების დირექტორთან, პასუხისმგებლად და გამგედ. სკოლა გაიხსნა 1888 წელს. დაინიშნა მასწავლებელი. ორი წლის შემდეგ გვინდოდა სკოლი გამგედ მასწავლებელივე ყოფილიყო, მაგრამ ამას სახალხო სკოლების დირექტორი არ დათანხმდა და მიზეზად სიტყვიერად ეს მითხრა: „თქვენ, როგორც გიმნაზიის მასწავლებელი და სახელმწიფო სამსახურის პირი, ყოველთვის ფრთხილად იქნებით, რომ სკოლაში კანონიერად იმუშაონ; მასწავლებელი კი კერძო პირია, ის რომ თქვენი სკოლიდან დავითხოვო, თქვენი საზოგადოება იმას საქართველოში მისცემს ადგილს, ის არაფერს არ წააგებს; თქვენ რომ სკოლის გამგის თანამდებობიდან დაგითხოვოთ ცუდად საქმის წაყვანისათვის, მა მინ უსათუოდ გიმნაზიიდანაც დაგითხოვენ და ამას თქვენ მოერიდებით (ცუდ საქმედ, როგორც მე შევიტყვე, პოლიტიკური მიმართულება ჰქონდა მიჩნეული).

ეს აზრი მტკიცდება გამგეობისაგან ჩემგან მიღებული წერილით 1906 წ. 9 მკათათვე № 268, რომლის შინაარსს ქვევით მოვიყვან.

მე დიდი ხანი იყო ვცდილობდი, რომ სკოლის გამგის თანამდებობიდან განთავისუფლებულვიყავ, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ბოლოს, როგორცა იქნა, გამგეობამ ამისრულა თხოვნა და მივიღე გამგეობისაგან შემდეგი წერილი: „242, 21 თიბათვე, 1899 წელი. მოწყალეო ხელმწიფევ,

ტიტე ბენედიქტეს ძევ!

თანახმად თქვენის თხოვნისა, წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მწუხარებით განგანთავისუფლათ კავკავის სკოლის გამგის თანამდებობისაგან და დაადგინა, გამოგეცხადოსთ გულითადი მადლობა იმ ღვაწლისათვის, რომელიც თქვენ დასდეთ კავკავის სკოლას 10 წლის განმავლობაში. გამგეობა იმედოვნებს, რომ არც მომავალში მოაკლებთ თქვენს ჩვეულებრივს ზრუნვას კავკავის სკოლას, რომელიც თქვენს დროს დაარსდა და აღორძინდა.

საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე, მდივანი დ. კარიჭაშვილი“.

გამეხარდა ამ წერილის მიღება, ვიფიქრე, მადლობა ღმერთს მოვიშორე თავიდან ერთი დავიდარაბა მეთქი. ოცი დღის შემდეგ გამგეობისაგან მივიღე შემდეგი წერილი:

„№ 268, 8 მკათათვე, 1899 წელი.

დიდად პატივცემულო ტიტე ბენედიქტეს ძევ! ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო ქაღალდი თერგის ოლქის სახალხო სკოლათა დირექტორისაგან, რომელიც იუწყება, რომ გამგეობისაგან დროებით სკოლის გამგედ დანიშნული მასწავლებელი ლ. ბოცვაძე

*) ეს წერილი იბეჭდება ხრუღიად უცვლელად. შესწორებულია მხოლოდ მართლწერა. რედ.

მართალია პოლ ბურჟეს ხელოვნურ ნიჭს ამახინჯებს პუბლიცისტიკა, მაგრამ მისი უეჭველი ნიჭი ამ დრამაშიაც სჩანს. მას, როგორც მწერალს, ხელოვანს არ ძალუძს სინამდვილეს გვერდზე აუხვიოს და იქ სადაც მისი გული ერთს უკარნახებს, გონება სულ სხვას ეუბნება.

ბრეშარი კაპიტალისტი—დიდის ხელოვნებითა ჰყავს დასურათებული. ეს ფულის მაღმერთებელი, წვრილმანის გრძნობისა და აზრის ადამიანია, ბინძურის, აღვირახსნილის მიდრეკილების კაცია. ბრეშარი თავისის მდგომარეობით სარგებლობს და ერთ მუშა ქალს —ლუიზას—შეაცდენს. ეს მოხუცი, რომელსაც გასათხოვარი ქალი ჰყავს და საცოლო ვაჟი—ოცის წლის ქალიშვილს დაუახლოვდება და თავის გასართობად ჰყავს. ბოლოს ზოგი თავისის ქინიანობის გამო და ზოგიც ვაჟიშვილის ზედ-გავლენის ქვეშ, ლუიზას შერთვასაც კი აპირებს. მისი ვაჟი „სოციალისტობს“, რადგან მაზედ დიდი გავლენა აქვს მის ტოლს, მათ ოჯახში აღზრდილ ახალგაზდა მუშას, ლანგუეს. ბრეშარის ქალიშვილი კი იმდენად წინააღმდეგია მამისაგან ამ ქალის შერთვისა, რომ ცილისწამების შეთხზვასაც კი არ დაერიდება და მოუგონებს ლუიზას, ერთსა და იმავე დროს მამაჩემსაც ატყუებს და ლანგუეს კი საყვარლადა ჰყავსო. ეს ოინები ამ ქალბატონისა, სრულიად უადგილო იყო. თვით ლუიზა ცივს უარზედა სდგას: არ შემიძლია ცოლად წაგყვეო, ეუბნება ბრეშარს: მე მუშა—ქალი ვარ; იმ როლს ვასრულებს შენს წინაშე, რა როლიც მარგუნა ბედმა და გარემოებამა და შენ ცოლობას ვერ ვიკისრებ, ვინაიდან ეს შენის შვილებისა არა სასიამოვნო საქმეც იქმნება და არც მე მსურს „ჩემ კლასს“ ჟუდალატო და „ბურჟუას მეუღლედ“ შევიქმნეო. ამ დროს ბრეშარის მუშებიც გაიფიცებიან. ვაჟი ბევრს ემუდარება მამას, დაუთმე და დასთანხმდი მუშათა მოთხოვნილებასაო, მაგრამ ბრეშარი ნამდვილად ქედმოუდრეკელი მესაკუთრეა, თავისის ინტერესების შეურყეველი დამცველი და შვილის ვედრებას ნახევრად დამცინავის კილოთი უპასუხებს: „ჩემო საცოდავო შვილო! მე რომ მათ დაუთმო, არავითარი პატივისცემა არ ექმნებათ ჩემი. დამცინებენ კიდეც! მხოლოდ მაშინ მცემენ პატივს, თუ დაინახავენ, რომ მე ნამდვილი ბატონი ვარ მათი და პატრონი. და, გარწმუნებ, მე მათ ვაჩვენებ ჩემის ხასიათის სიმტკიცეს და ჩემის ნების ძლიერებასა“.

გაფიცვის დროს, ლანგუესა და ბრეშარს ცხარე ლაპარაკი მოუვათ და მოთმინებიდან გამოყვანილი ლანგუე ხელსაც კი აიღებს ბრეშარისათვის სილის შემოსაკრავად. ეს მოქმედება ლანგუესი სრულიად საკმარისად ხდება მისთვის, რომ ბრეშარის ვაჟმა უეცრად „სოციალისტობა“-ც მიატოვოს და თანშეზრდილი მეგობარიც აიძულოს. ლუიზაც თავის კლასიურ ინსტიქტს აღარ ღალატობს და ლანგუეს მიჰყვება ცოლად. ბრეშარი ყველას სამსახურიდან დაითხოვს, მაგრამ შემდეგ ერთის მეგობრის რჩევის მიხედვით, ამავე მუშებისაგან შემდგარ ამხანაგობას ფულს აძლევს სათადარიგო თანხის შესაქმნელად.

ავტორის მხატვრული ნიჭი გამოიხატება მოქმედ პირთა სულის კვეთებისა და ხასიათის მიუდგომელ დასურათებით. მთავარი მექანიზმი ყველა მათ მოქმედებისა, მათ კლასიურ მისწრაფებაშია. ბრეშარი აღჭურვილია ყოველივე თვისებით, რომელიც კი მისის კლასის (კაპიტალისტთა) წარმომადგენელს შეეფერება: გამჭრიახი, მომქმედი, ენერგიანი, სასტიკი და თანაც ცოტათი მოშიშარი; წვრილმანის სურვილების პატრონი, რომელიც ვერც კი ბედავს ამ სურვილებისა და მისწრაფებისა გულ-ახდილად, გაბედულად დაკმაყოფილებას, რაიცა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მას (ლუიზასთან კავშირი). მისი ქალიშვილი უსირცხვილო გეტერაა, თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოების შექმნილი, რომელიც ყოველ ღონეს მიჰმართავს მისთვის, რომ შეინარჩუნოს ხელუხლებლად მამის ქონება და ჩამალოს მისი „უხერხული“ კავშირი ლუიზასთან.

ბრეშარის ვაჟი, რომლისთვისაც „სოციალისტობა“ ერთგვარი სპორტია, ვითა ცხენის ჭენება, გინდ ავტომობილით სეირნობა და თუ გინდ მასთან შეზრდილ მუშასთან მეგობრობა, ამ სპორტს უეცრად ჩამოიხსნება პირველისავე დაბრკოლებისთანავე. ის „სოციალისტი“ იმიტომ იყო, რომ მისი თანშეზრდილი და მეგობარი ლანგუე ამ აზრებს უქადაგებდა და თვითაც არა ეხარჯებოდა რა, არავითარს მსხვერპლს არ იღებდა ასეთს „სოციალისტობისთვის“. ის ლანგუეს მეგობრობას იმდენად აფასებდა, რამდენადაც ლანგუე მის გამართობელ სათამაშოს როლსა კისრულობდა, ლანგუეს მეგობრობა სასპორტოდ სჭიროდა. მაგრამ საკმარისი იყო ლანგუეს ერთი მცირედი შეცდომა ჩაედინა, ბრეშარის ღირსეულმა ვაჟმა, მეგობრობაც და სოციალიზმიც ისე გადაისროლა, ვითა ჭუჭყიანი ხელთათმანი. ამ ვაჟბატონებისათვის ყოველი გრძნობა და ყოველი აზრი იმდენად ფასობს, რამდენად მათის ინტერესებისა და კლასიურის ინსტინქტების დამაკმაყოფილებულია, გარეშე ამისა მათ არც გრძნობა იციან, არც აზრი. მეგობარი მისთვის უნდათ, გაართოს, რაიმე როლი აღასრულოს მის გვერდით. რაიმე სარგებლობა მოუტანოს და ასიამოვნოს მას—თვინიერ ამისა მისთვის მეგობარიც ზედმეტი ბარგია და მეგობრობაც დამპალი საქონელი, რომელიც მათ ბაზარზედ არ გასაღდება ხოლმე. მისი ურგების მეგობრისა და ამხანაგის თავიდან მოშორება ეს მის ვაჭრულ ანგარიშს შეადგენს და სავალდებულოდ მიჩნია. ამნაირადვე ყოველი აზრი იმდენად სწამს, რამდენად ეს მის ნებიერობასა და ცხოვრების კმაყოფილებას არ არღვევს. გარეშე ამისა, მას ყოველივე აზრი ფეხზედ ჰკიდია.-აი რას ვხედავთ ჩვენ ხელოვანის ბურჟეს დრამაში; აი რა სურათებს გადაგვიშლის თვალ წინ ეს დრამა, რომლის ავტორი, როცა პუბლიცისტობს, გვარწმუნებს, რომ მარილი ამ ქვეყნისა ეს კლასსია, ჩემი კლასსია.

სამაგიეროდ, რამდენად უფრო კეთილშობილია ეს საბრალო, მუშა-ქალი, ლუიზა. ის სრულის მადლობითა და კეთილშობილის გრძნობით ეპყრობა მის შემაცდენელ, გადაბერებულ ბურჟუას. ერთ წუთსაც მისი ერთგულება არ დაუგდია და არ უღალატნია და მადლობის მაგიერ ბრეშარი ქალიშვილის უმართებულო ცილისწამებით წაქეზებული, უსაფუძვლო ეჭვებით შეურაცხყოფს მასა.

ლანგუე, მართალია, ფიცხია, თავდაუჭერელი, მაგრამ თავგანწირული და ღრმა მორწმუნე თავისის აზრისა, თანაც მისი გული მეტად ნაზისა და ღრმა გრძნობების საუნჯეა. თავისის რწმენისათვის ის ყოველიფერს გასწირავს, მაგრამ ვერავითარი პირადი ანგარიში ვერ დაავიწყებს მაღალ გრძნობას. უკანასკნელად, როცა ბრეშარის ვაჟი მამის მინდობილებით მიიწვევს ანგარიშის გასასწორებლად, ცხარე ლაპარაკი მოუვათ. ამ ბაასის დროს ბრეშარი-შვილი ყოველივე თავისს უწინდელ რწმენას უარსა ჰყოფს და მუშათა წინააღმდეგ ბრძოლა და ლოკაუტი მიაჩნია ერთად-ერთ სამართლიან და საფუძვლიან მოქმედებად. მიუხედავად ასეთის უცნაურის ცვლილებისა, ლანგუე, ეს გულწრფელი ფანატიკოსი თავისის საქმისა, მაინც სიყვარულით და ალერსით ხელს გაუშვერს მას: მართალია, აზრი გამოიცვალა, მაგრამ—ლუიზას იქმნისა არ იყოს—შისი მეგობრობა ლანგუესათვის ცხოვრების საუკეთესო სამკაული იყო და ამიტომაც გამოთხოვების დროს კეთილის გრძნობებით უნდა გაშორდნენ ერთმანეთს. ხოლო გულზვიადი და ფუქსავატი ბრეშარი-შვილი ცივად ზურგს მიუბრუნებს და ხელს არ ჩამოართმევს, შენ მამაჩემი შეურაცჰყოო. მართალი სთქვას კაცმა, როცა ბურჟეს დრამაში დააკვირდები ამ ორის კლასსის წარმომადგენლების სურათს, ჰხედავ, რომ ერთის მხრით დაცემაა და განხრწნილება, მეორეს მხრით კი სიცოცხლე და აყვავება; ერთის მხრით ცარიელი და მშრალი ანგარიშია და ოქროს გაღმერთება, მეორეს მხრით თავისის ადამიანურის უფლებათა დაცვის მედგარი და მტკიცე სურვილი და გადაწყვეტილება, გაბედულება, სიჩქნევე და მასთან გული, ღრმა სიყვარულითა და ნაზის გრძნობებით აღსავსე. პოლ ბურჟეს მხატვრულ სინიდისიერებასაც სწორედ ეს შეადგენს, რომ მისმა ნიჭმა, მისის გულის წინააღმდეგ, სულ სხვა სურათი მოგვცა დღეინდელ კლასთა წარმომადგენლებისა. ბურჟემ—ხელოვანმა უღალატა ბურჟეს პუბლიცისტს და ხელოვანმა სულ სხვა დაგვანახვა, ისეთი სურათი დაგვიხატა, რომელსაც ვერაფრით ვერ დაემყარება ბურჟე პუბლიცისტი. ბურჟე პუბლიცისტი კულტურისა და ცივილიზაციის ხსნის სახელით იწვევს კაპიტალისტებს, გაუწყვეტ ბრძოლა მშრომელ ხალხსო, ბურჟე ხელოვანი კი გვეუბნება, რომ ვერავითარი ბრძოლა ვერ უშველის და რომ უფსკრულში უნდა გადაიჩეხოს ის კლასი, რომლის მომავალი ბრეშარის ქალ-ვაჟია. ხოლო აუცილებლად მომავალი ასეთის ხალხისაა, რომელსაც ასეთი ჯანსაღი, ნაზ-გრძნობიერი და გულ მრთელი წევრები ჰყავს, როგორიც ლუიზა და ლანგუეა.

ქ. აბაშიძე.

(დასასრული იქნება)

არ ყოფილა ამ ჟამად ვლადიკავკავში და ამიტომ ახალის გამგის დანიშვნამდე უნდა ვთხოვოთ ტ. კახიძეს, რომ იგი განაგებ დეს სკოლასაო.

ამის მიხედვით საზოგადოება უმორჩილესად გთხოვთ, რომ კეთილ ინებოთ და განაგოთ ვლადიკავკავის სკოლა იმ დრომდე, ვიდრე დაინიშნებოდეს თქვენ მაგიერი სკოლის გამგე.

საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე, მდივანი დ. კარიჭაშვილი".

ამ უკანასკნელ წერილიდან სჩანს, რომ დირექტორმა დროებითაც არ ისურვა მასწავლებლის სკოლის გამგედ დანიშვნა. მასწავლებელი საზაფხულოდ იყო წასული და მიზეზად ეს მოიდო. ამ წერილის პასუხად გამგეობას მივწერე თანხმობა მხოლოდ გ. გოცვაძის დაბრუნებამდის.

ქ. შ. წ. კ. ს. გამგეობას სურდა სკოლის გამგედ მასწავლებელი ყოფილიყო, მაგრამ კარგად გაიგო დირექტორის ქაღალდიდან, რომ მას არა სურს სკოლის გამგედ მასწავლებელი იყოს.

რადგანაც მე გადაწყვეტილი უარი განვაცხადე სკოლის გამგის თანამდებობისა, გამგეობამ ჩემს მაგიერ დანიშნა პ. ალ. გოთუა, კავკავის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი. როცა პ. გოთუა კავკავიდან ტფილისში გადმოვიდა, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ კიდევ მთხოვა სკოლის გამგის თანამდებობა მიმეღო, მაგრამ მე უარი განვაცხადე. ორი წლის შემდეგ გამგეობისაგან მივიღე შემდეგი წერილი:

„№ 95, 6 სექტემბერი 1906 წელი. პ. ტალე კახიძეს.

გაცნობებთ ამით, რომ გამგეობამ აგირჩიათ თქვენ კავკავის სკოლის სამზრუნველოს თავჯდომარედ და სკოლის გამგედ. ამ ორი წლის წინად გამგეობამ უკვე გთხოვათ, გეკისრათ ეს თანამდებობა, მაგრამ მაშინ უარი განაცხადეთ ზოგიერთი გარემოების გამო. ახლა გარემოება გამოიცვალა და გამგეობას სრული იმედი აქვს, იკისრებთ სამზრუნველოს თავჯდომარეობას და სკოლის გამგებლობას.

საზოგადოების თავმჯდომარის მაგიერი მისი ამხანაგი ნ. ცხვედაძე, მდივანი ს. ფირცხალავა".

მე თანხმობა განვაცხადე ზოგიერთი პირობებით. ერთი გამგეობის წევრი მწერდა, გამგეობის სახელით, კერძო წერილს, რომლითაც მპირდებოდა ჩემი პირობის ასრულებას, მხოლოდ უარს ნუ იტყვიო (ეს წერილიც მაქვს და სხვაც კიდევ).

(შემდეგი იქნება)

ტ. კახიძე.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 აგვისტო.

**საზღვარგარეთი**

**ასტარა.** შახსევენების მეთაურები მოჰამედ-ალი-შაჰ-სულთანის ხელმძღვანელობით მაჰომედ-ალის მხარეს გადავიდნენ. არდებილის მცხოვრებნი ამას თანაუგრძნობენ. შახსევენების მოახლოებისთანავე ადგილობრივმა მთავრობამ ციტადელი მიატოვა. გაწვრთნილი ჯარი მოჰამედ-ალი-შაჰ-სულთანის დაუშორჩილდა. არდებილში პროკლამაციები გავრცელდა, ამ პროკლამაციებში მაჰომედ-ალი შაჰად არის გამოცხადებული. მოჰამედ-ალი-შაჰ-სულთანი 9 აგვისტოს ციხეში შევიდა. ხალხი სიხარულით დახვდა. შახსევენების ჯარი ქალაქ-გარედ დარჩა. ქალაქში წესიერებას გაწვრთნილი ჯარი იცავს. რუსების რაზმმა, რომელიც არდებილთან იყო დაბანაკებული, რუსეთის ქვეშევრდომთა დასაცავად ყარაულები გაიყვანა.

**თეირანი.** მოჰაუ-დოულემ, რომელმაც ამას წინად ძველი შაჰის ბრძანებით, თავისი თავი ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორად აღიარა, ქალა დეხარგანში თავისი გუბერნატორი გაგზავნა და თან ჯარი გაატანა. მასტარა ბრძოლის შემდეგ ენჯუმენის მიერ დანიშნული გუბერნატორი გაძევებულ იქმნა და მისი ადგილი მოჰაუს მიერ გაგზავნილმა ჯარმა დაიჭირა.

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** მინმუტის საგრაფოში დაბა ბარგორდში არეულობა მოხდა. 12 დუქანი გაძარცვულია. ჯარი გაიგზავნა. ჯარს უცდიან აგრეთვე ტრედგარდსა და რიმნეიში, რადგანაც ამ ადგილებში ხალხი აღელვებულია. გაფიცულთა კომიტეტს დაპირაკი ჰქონდა საუფლისწულთა გაფიცვის გამოცხადების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილებანი ასრულებულ არ იქმნებიან. კომიტეტმა დაადგინა, შეეკითხოს ლიოიდ-ჯორჯს, ლორდ-მერს, ვაჭრობის მინისტრს და პრემიერს, დოკაუტს გამოუცხადებენ გაფიცულთ თუ არაო. ლიოიდ-ჯორჯის სა ქალაქო გზის მოსამსახურენი ხვალიდან სამსახურში ისევ მიიდენ.

**ურმია.** მოვიდა ოსმალეთი ორი ინჟინერი, რომლებმაც, სპარსეთის ტერიტორიაზე ოსმალების მიერ დაჭერილი ადგილების გზები და მთების სიმაღლე უნდა გამოარკვიონ.

**სტამბოლი.** იმამ იახიეს შეუთანხმდნენ იემენის მმართველობაში.

გაზეთი „ტანინი" რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებისას ამბობს, რომ ბაღდადის რკინის გზა ოსმალეთისათვის სასარგებლოა, მაგრამ უკვირს, რომ შეთანხმება ოსმალეთის დაუკითხავად მოხდა.

**ბუდაპეშტი.** კოშუტის პარტიის ორგანოს „ბუდაპეშტის" სიტყვით, კოშუტის საარჩევნო კანონის პროექტში შეტანილია მუხლი, რომელიც სავალდებულო და უფასო სწავლის შემოღებას თხოულობს. სკოლის გათავების მოწმობა საარჩევნო უფლებას ანიჭებს იმ პირთ, ვინც ენა (?) იცის.

**ვენა.** ამბობენ, ერენტალი იმ კვირას იშლს მიდის, სადაც იმპერატორს მაროკოს საქმის თაობაზე მოხსენებას წარუდგენს.

**ლისაბონი.** რესპუბლიკის პრეზიდენტად 121 ხმით არრიაგა აირჩიეს.

**ათინა.** ტრამვაის მუშათა გაფიცვა გათავდა.

**ლივერპული.** ქალაქის გზის სამმართველომ გაფიცულ მუშების უკანვე მიღება გადასწყვიტა.

**ლისაბონი.** ახალი კონსტიტუცია ძალას 12 აგვისტოდან მიიღებს. 13 აგვისტოს დანიშნულია 71 სენატორის არჩევნები. სენატორები დეპუტატებმა თავიანთ რიცხვიდან უნდა აირჩიონ. სენატორი 30 წლისაზე მეტის უნდა იყოს. დამფუძნებელმა კრებამ რესპუბლიკის პრეზიდენტს 24.000 მილრეისი დაუნიშნა (72.000 მანეთი).

**პარიზი.** ამბობენ, გამბონი საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების გეგმას ადგენსო.

**სტამბოლი.** მეცნიერი რიხტერი უზნადებმა გაიტაცეს.

გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანი სადიკ-ბეი ელჩად დანიშნა ბელგრადში.

ფერიზოვიჩში ბოდკარულთა ბრბომ სწრაფ მატარებელში ყუმბარა შეაგდო. სამი კაცი მოკვდა, 6 დაიჭრა. რამდენიმე ბოდკარული დასაჯეს.

**რუსეთი.**

**კალუგა.** გამოჩენილი ავანტიურისტი სავინი ტომსკში გაიგზავნა ეტაპით.

**ეკატერინოდარი.** ადიბის სადგურში სახიზნო მატარებელი იდგა. მას საბარგო მატარებელი დაეჯახა. დაშავდნენ: ორი მგზავრი, კონდუქტორი და მემანქანის თანაშემწე.

**კიევი.** ეკატერინოსლავიდან მოსულ გემზე ორი კაცი დააპატიმრეს. მათ ყალბი ფული აღმოაჩნდათ.

**მოსკოვი.** კონსერვატორიის დირექტორმა იპოლიტოვ-ივანოვმა კრებული შეადგინა. კრებული დანიშნულია 1912-სა და 1913 წლის იუბილეებისათვის.

# მოწერილი ამბავი

**აგარაკი ბახმარო** (გურია). აგარაკი ბახმარო არამც თუ მარტო სწეულ მოაგარაკეთა ყურადღებას იპყრობს, არამედ ამ ბოლო წლებში მთავრობის წარმომადგენლებმაც მიაქციეს თავისი ყურადღება. წარსულ წლებში ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელმა ინსპექტა და მისი ბრძანებით გაიყვანეს ახალი მოკლე გზა დ. ხიდისთავიდან. შარშან ამ გზით ბახმაროზე პირველად ავიდა ურემი, რასაც მოაგარაკენი აღტაცებული ყრიამულით მიეგებნენ. მართალია ამ გზაზე სოფლელებმა ბევრი შრომა გასწიეს, მაგრამ დასრულებულად მაინც არ ჩაითვლება.

წელს ბახმარო ინახულეს კავკასიის უმაღლესი მთავრობის და ქუთაისის გუბერნიის სათანადო მთავრობის წარმომადგენლებმა. ბახმაროს თვალწარმტაცმა ბუნებამ, ადგილობრივმა ჯანსაღმა ჰავამ, მთავრობის წარმომადგენელნი აღტაცებაში მოიყვანა და მათ მოსვლას ბახმაროსათვის დიდი მნიშვნელობაც აქვს: დაუკლეს საშენ მასალას ბაჟი, დაგეგმეს საავარაკო ადგილები და გადაწყვეტით განაცხადეს ხეირიანი გზის გაყვანა. მათი აზრით, ბახმარო ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში, როგორც საავარაკო ადგილი, პირველ ადგილს დაიჭერს და ამას მთავრობაც გულის მხრით ხელ შეუწყობს. წ.

—

**სოფ. ვანი** (გურია). საზოგადოდ გურია ნაქებია კულტურით; მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვათ, ბევრს არა სასიამოვნო მოვლენას აქვს ჩვენში ადგილი. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია დღეობები.

გურიაში 100 სოფელზე მეტია, თითოეულს სოფელს ცოტა რომ ვიანგარიშოთ, დღეობა დაჯდება არა ნაკლებ 500 მანეთისა. გურულებმა რომ დღეობები მოსპონ, წლიურად 50,000 მანეთი სარგებელი ექნებათ. ამ ფულით რომ საკულტურო-გამანათლებელ დაწესებულებს შეუვსებდეთ, როგორიცაა, მაგ. სკოლები, სამკითხველოები, კოოპერაციები, გზები და სხ., მაშინ გურია უფრო დაწინაურდება. მაგალითისათვის ავიღებ გურიის ერთს სოფელს ვანს (აკეთის საზოგ.), სადაც დღესასწაულობენ დღეობას 6 აგვისტოს—ფერისცვალებას. როგორც სხვაგან, აქაც შეუდგნენ ორი-სამი დღით მზადებას: ზოგი ღვინისთვის დარბოდა, ზოგი თევზისთვის, ზოგი ფულის სასესხებლად და სხ. ცუდი ამინდი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც ბევრი დარჩა. ამ სოფელში 120 კომლი მცხოვრებია, და თითეულს 5—20 მანეთამდე ხარჯი ექნებოდა. ნეტავი ვის რა არგო ამდენმა ხარჯმა? გუგული.

# წერილი რედ. მიმართ

სურამის სამკითხველოს გამგეობის მხრით გულითადს მადლობას ვუცხადებთ პატივცემულ მწერალს არჩილ ჯორჯაძეს თვის წიგნების „ეროვნულ პრობლემის გარშემო" და „ჩვენი საზოგადოებრივობის" შემოწირვისათვის.

ბიბლიოთეკის გამგე

ალექსანდრე ხარაძე.

# გამოსადეგი ცნობა

**პეტერბურგის ბირჟა**

2 აგვისტო.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**სარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4% სახ. რენტა | 93 3/4 |
| 5% გირ. ფ. ს.-აზ. სახ. ს.-მამ. ბან. | 95 |
| 4% „ „ „ | 91 |
| 3 1/2% „ „ „ | 85 |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | 86 |
| 4 1/2% „ „ „ | — |
| 5% „ „ ქუთ. მიწ. ს.-აზ. ბანკ. | 83 3/4 |
| 5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. ხაზ. | 85 |
| 4 1/2% „ „ „ | — |
| 5% I მომგებ. ბილეთ. | 468 |
| 5% II „ | 360 |
| 5% III „ | 318 |

**ტფილისის ბირჟა**

**სანოვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:**

| | |
|---|---|
| მატყლი თუშური | 7 მ. 80 კ. 8 მ. |
| ბამბა ქუთათური | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | 15-16 „ |
| ჭიათ. მავი-ქვა (ჩვეულებრივი | — |
| (გარეცხილი | — |
| ყველი ქართული | 7 მ. 40 კ. 8 მ. |
| თზილი ზაქათალისა | — |
| ღვინო კახური | 3 მ. 50 კ. |
| შაქარი (თავისა | 5 მ. 25 კ. 5 მ. 30 კ. |
| (ფხვიერი | 4 მ. 60 კ. |
| ორბალი | — |
| ქერი თეთრი | — |
| ხიმინდი | — |

**მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.**

დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 წუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვოში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო მატარ.** N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვოში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო მატ.** დილ. 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვოში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული მატ.** № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვოში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დილ. 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად. 1 ს. 44 წ., ბალაჯარში საღ. 10 ს. 2 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1. I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

**ბათუმიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ. ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით

მორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის საღ. 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკავის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილისბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისო საძილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საავარაკო № 76, 77, 76a, 77a.

**ნ ი ს ხ რ ი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა** (მეეტლეებთან მოურიგებლად).

1. ქალაქში ერთ ადგილამდე . . 40 კ.
2. ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან 70 „
3. ვაგზლიდან ქალაქში . . . . 70 „
4. ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. —
5. ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში 40 „
6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე . . . 50 „
7. მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან . 80 „
8. ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში . . . . 50 „
9. ფუნიკულერის სადგურამდე . 50 „
10. იქიდან უკან დაბრუნება . . 40 „

# განცხადებანი


**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. ბ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულდიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეცტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 1/2 ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1 1/2—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. შილხერშაცი:** 6—7 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. ბეევსკაია-ენგელი:** 6—6 1/2 საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციმევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—107)

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის მუხარლისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—73

მუხრანის კარის

**სამკურნალო**

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყურისა ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. ვეთრგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკ. ...), დილ. 8 ნახ. ...

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალმაკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიანი**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50) 0—103—122)

საგაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „იალგუჯი"-ს წევრთა საზოგადო კრების არჩეული სალიკვიდაციო კომისია ამით ატყობინებს ამხანაგობის კრედიტორებს, გამოუცხადონ მას თავისი პრეტენზიები წერილობით ან პირადად ყოველ-დღე, დილის 9 1/2 — 10 1/2 ს. ამ 1911 წლის აგვისტოს 25 რიცხვამდე—გიორგის ქუჩაზე, 35. (2.764.1)

გამოცდილი **მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან, ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით**: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის** **ხარისხზე. ყველა კლასის ჩანახთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებადეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

დროებითი ადრესი: Черкезовск. (бывшая Авчальская) ул. д. № 133, кв. 4. იკითხეთ მასწავლებელი, შესავალი ეზოდგან კარებიდან (Противъ вокзала, въ Нахаловкѣ). (თ—1084—3)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო" . . . . ფ. 75 კ. |
| „ „ „ | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრივობა" . . . . . . . ფ. 80 კ. |
| Bato n-ისა: | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევან", 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ. |
| შიუკაშვილისა: | „მეგობრობა", 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

**„კ ო ლ ხ ი დ ა"**

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.

**საზღვარ-გარედ:** წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. ცალი ნომერი ერთ შაურად.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი შაური.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების**

**● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ **ახალ-ახალი** ✦

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 80 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და გელა-რიბიც 50 კ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—1063—)